ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ვლადიმერ ძნელაძის

2019 წლის ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან ვარ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის წევრი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე, საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საქმეთა კომისიის წევრი, განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, დიდუბის რაიონის მაჟორიტარი .

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 18 სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 98 დადგენილება და 435 განკარგულება. მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 17 სხდომის მუშაობაში.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 17 კომისიის სხდომის მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომათა ოქმების გაფორმებას. კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 22 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

შესწავლილი საკითხები:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2018 წლის შედეგების განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტების განხილვა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტების განხილვა.

- ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის 2016-2018 წწ შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარდგენა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის” (დანართი №6) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

- 18 წელს მიღწეული მზრუნველობამოკლებული სტატუსის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაცის ხელშეწყობა.

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
- ეროვნული სკრინინგ ცენტრის სამომავლო გეგმებისა და ახლი მეთოდოლოგიის დაგეგმის შესახებ.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. კერძოდ: „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხილვა.

კომისიის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები.

ჯანდაცვის პროგრამები:

- ქვეპროგრამის მოცულობა გაიზარდა 3 335 000 ლარით.
- დაავადებათა სკრინინგი
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია
- ,,c'' ჰეპატიტის დიაგნოსტიკა
- ტრანსპლანტაცია
- გადამადებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

სოციალური პროგრამები:

- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები
- სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში
- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელ-ტრანსპორტით და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება

- უფასო სასადილოები რაიონებში
- დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია
- მიუსაფართა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება
- შშმ მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსება
- კომუნალური სუბსიდირების პროგრამა (კომ. ვაუჩერი გაიცემა ქ.თბილისში რეგისტრირებულ ოჯახზე სულადობის მიხედვით 16-დან 20ლარამდე ოდენობით)
- ომის ვეტერანების დახმარება
- გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები რაიონებში
- ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება
- უსინათლო პირების მატერიალური დახმარება
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება
- შინმოვლის თანადაფინანსება
- შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
- მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება
- ,,ვოლდ ვიჟენ საქართველოს'' სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება

განათლებისა და კულტურის კომისიის ფორმატში გაიმართა 14 სხდომა ,რომელზეც განხილულ იქნა 18 საკითხი:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი .

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარის არჩევა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15

დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი .

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის“ განხილვა .

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის N25-101დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტის ინიცირება.

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ (ს/კ 202058520) ლიკვიდაციის საკითხი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა .

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ებანოიძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

- ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიერ 2019 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის განხილვა.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

- თბილისის მუზეუმების პოტენციალი დედქალაქის ტურიზმის განვითარებისთვის

საანგარიშო პერიოდში დავესწარი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ 12 სხდომასა და ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 18 სხდომის მუშობაში.

ფრაქციის სხდომების ფორმატში გავეცანი თბილისის საკრებულოს წევრებისა და მერიის ხელმძღვანელობის ანგარიშებს გაწეული საქმიანობისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის გზების შესახებ. მათ შორის გამოვყოფდი:

- თბილისის მასშტაბით დაგეგმილი განსახორციელებელი სამომავლო პროექტების განხილვა.
- მუნიციპალური ქონების მართვის მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ.
- თბილისის ბაგა-ბაღების სურსათით მომარაგების საკითხი.
- ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მითითებულ ვადებში განხორციელების საკითხები.
- ქალაქში მიმდინარე სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშოების, ასევე თბილისის გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, ავარიული შენობების გამაგრებითი სამუშოების მიმდინარეობის შესახებ.
- დედაქალაქის დასუფთავების ავტოპარკის განახლებასა (მექანიკური დამგველი მანქანების) და ნაგვის დასახარისხებელი სპეციალური სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხები.
- მოქალაქეთა სოციალური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლებემის გადაწყვეტის საკითხი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის წესში ცვლილების შეტანა, ასევე სკრინინგსა და ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ცვლილებები.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის წევრები სისტემატურად ვხვდებოდით მოქალაქეებს, ვეცნობოდით მათ პრობლემებს და უფლებამოსილების ფარგლებში ვუწევდით დახმარებას.

წევრის ვლადიმერ ძნელაძის წარმომადგენლობის

საქმიანობა

დიდუბის რაიონის მაჟორიტარის სამაჟორიტარო ოლქი მოიცავს დიდუბის რაიონსა და ჩუღურეთის რაიონის მცირე ნაწილს (შალიბაშვილის ხიდიდან - მარჯანიშვილის მეტრომდე).

საკრებულოს დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლობაში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად. ყოველ ოთხშაბათს მაჟორიტარი წევრი პირადად ხვდება მოქალაქეებს, ისმენს მათ საჭიროებებს, ეცნობა მათ მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას, განიხილავს და რეაგირებისთვის გადასცემს შესაბამის სტრუქტურებს. მაჟორიტარის და მისი წარმომადგენლობის საქმიანობის სფეროები განისაზღვრება შემდეგი მიმართულებებით: ჯანდაცვა, სოციალური სფერო, ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და საზოგადოებრივი საქმიანობა. ასევე, ნებისმიერ მოქალაქეს, აქვს შესაძლებლობა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, კვირის სამუშაო დღეებში შეხვდეს მაჟორიტარ წევრს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. პრობლემების გადაწყვეტის პროცესი ხორციელდება კანონმდებლობის საფუძველზე, უწყებების ხელმძღვანელ პირებთან პირადი შეტყობინების თუ წერილობითი მიმართვის საფუძველზე. გასული და მიმდინარე წლის ნოემბრიდან - ნოემბრამდე, მაჟორიტარის და მისი წარმომადგენლობის მიერ მიღებულ იქნა 280-მდე მოქალაქე. რაიონში მიმდინარე პროექტების განხორციელების მონიტორინგის პერიოდში მაჟორიტარი სამუშაოების განხორციელების ადგილზე შეხვდა 320-მდე ადამიანს. მაჟორიტარის და მისი თანამშრომლების მიდგომაა, რომ საკითხი მოგვარდეს დაუყონებლივ, ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე. ხაზი გვინდა გავუსვათ უწყებათაშორის თანამშრომლობას და დამხარდაჭერას, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფო, თუ კერძო სტრუქტურები იჩენენ საქმის მიმართ. ფაქტიურად არ არსებობს უწყება, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში არ თანამშრომლობს ჩვენთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონის გამგეობების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის, თბილისის საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოს, თბილისის განვითარების ფონდის, ფეხბურთის

ფედერაციის, შპს ყაზტრანსგაზის, შპს საქართველოს რკინიგზისა და სს „თელასის“ ჩართულობა მოსახლეობაზე ორიენტირებული საჭიროებების მოგვარების პროცესში.

ჯანდაცვა და სოციალური სფერო

წარმომადგენლობა სრული მხარდაჭერით უზრუნველყოფს პირებს, რომლებიც მოგვმართავენ სოციალური საჭიროებებისა და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით. შუამდგომლობის კონსულტირება ხდება , ჩვენი კომპეტენციისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი პროგრამებით გათვალიწინებული წესის თანახმად. საკითხების მოგვარების პროცესში ჩვენი პარტნიორები არიან: დიდუბის რაიონის გამგეობა, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით, წარმომადგენლობის მხრიდან, საანგარიშო პერიოდში დაყენებულ იქნა 165 შუამდგომლობა, აქედან 48 განცხადება შეეხებოდა ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, ხოლო 28 მედიკამენტების დაფინანსებას. დანარჩენი განცხადებები შეეხებოდა გამოკვლევების , ოპერაციების და სხვა სამედიცინო საჭიროებების დაფინანსებას.

საახალწლოდ დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონში შეჭირვებულ ოჯახებს გადავეცით 51 საახალწლო კალათა, ხოლო სააღდგომოდ დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონში მცხოვრებ 43 ოჯახს , რომლებიც არ სარგებლობენ უფასო სასადილოების სერვისით, დაურიგდა სააღდგომო ნობათი.

სოციალური აქტივობები

წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ყველა საჯარო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რომელთა პრიორიტეტი მოქალაქეებზე ზრუნვა და მათი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაა.

საქველმოქმედო ფონდი „მომავლისთვის“ მუდმივად სარგებლობს დიდუბის მაჟორიტარი წევრის და მისი წარმომადგენლობის მხარდაჭერით, დახმარებას ვუწევთ სოციალურად დაუცველ, შეჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს.

ჩვენს რაიონში ფუნქციონირებს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“, რომელიც აერთიანებს სამი სხვადასხვა მიმართულების ბავშვთა ცენტრს:

ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა კრიზისულ სადღეღამისო ცენტრს „ბეღურები“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ცენტრს „იმედი“ და სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრს „ცისარტყელა“. ორგანიზაციის ბენეფიციარები არიან შშმ პირები, ქუჩაში მცხოვრები, შეჭირვებული და სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები, რომლებიც მუდმივად საჭიროებენ თანადგომას სახელმწიფო სექტორიდან.

ინფრასტრუქტურული სფერო

ინფრასტრუქტურული საკითხების გადაჭრის უმთავრეს პირობას საბიუჯეტო სახსრების სწორად დაგეგმვა და დაგეგმილი სამუშაოების დროულად და მიზანმიმართულად შესრულება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ დიდუბის რაიონის გამგეობაში, ბიუჯეტით განსაზღვრული ყველა პროექტი ხორციელდება მაჟორიტარის წევრის , მისი წარმომადგენლობის და რაიონის გამგებლების კოორდინირებული მუშაობის შედეგად. ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების მიმართულებით, წარმომადგენლობის მხრიდან, საანგარიშო პერიოდში დაყენებულ იქნა 32 შუამდგომლობა, ქალაქ თბილისის მერიასა და რაიონულ გამგეობებში, რომელიც შეეხებოდა კომუნალური სისტემის მოწესრიგებას, გზების მოწესრიგებას , გარე განათების დაყენებას , კორპუსის გამაგრებას და სხვა.

სპორტი

წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას საფეხბურთო კლუბი “დიდუბე 2014“, რომელიც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი წევრის და მისი წარმომადგენლობის ინიციატივით არის შექმნილი. ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა შეჯიბრებებში, გუნდი მოწინავე ადგილს იკავებს. ამ ეტაპზე, კლუბში 150 ბავშვი ირიცხება. კლუბში „დიდუბე 2014“ მოთამაშე ყველა ბავშვისთვის სწავლება და მომზადება არის უფასო, მათი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან თამაშისთვის აუცილებელი აღჭურვილობით: ფორმებით, ბურთებით და სხვა ინვენტარით. ლადო ძნელაძისა და მისი წარმომადგენლობის ინიციატივით, დიდუბის რაიონის გამგეობის მხარდაჭერით და სხვადასხვა კერძო სექტორის წარმომადგენლების დახმარებით, ხორციელდება გასვლითი შეკრებებიც.

გუნდში თამაშის ერთ-ერთი წინაპირობაა, კარგი აკადემიური მოსწრების და საშუალო ქულებზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლიდან. დიდუბის რაიონის მაჟორიტარი, ვლადიმერ ძნელაძე და მისი წარმომადგენლობა, მუდმივად ინტერესდება კლუბში მოთამაშე ბავშვების აკადემიური მოსწრებითა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაკვეთილებზე და ლექციებზე დასწრების საკითხით. აღსანიშნავია, რომ გუნდის დამფუძნებლებმა და მწვრთნელებმა შეძლეს ბავშვებისთვის მაღალი მოტივაციის გაჩენა.

რეზულტატი გვიჩვენებს, რომ აუცილებელია დაიგეგმოს და განხორციელდეს აქტივობები, რომელიც მიმართული იქნება მოზარდების საგანმანათლებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ახლგაზრდული მიმართულებები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ, რომლის წევრიც გახლავთ ვლადიმერ ძნელაძე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილის ინიციატივით, თბილისის მუზეუმების გაერთიანებასთან თანამშრომლობით, მუზეუმების კვირეულის ფარგლებში, თბილისის მუზეუმების შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებში ახალგაზრდების ჩართვის კამპანია ჩაატარა.

კამპანიის ფარგლებში, ჩვენი წარმომადგენლობის მიერ, ხელმისაწვდომ მუზეუმთა შორის შერჩეულ იქნა ილია ჭავჭავაძის მემორიალური სახლ-მუზეუმი, მდებარე ჩუბინაშვილის 22-ში, რომელსაც დიდუბის რაიონის მე-18 საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ. სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, მუზეუმის თანამშრომლებმა ჩაატარეს პრეზენტაცია, რომელიც ასახავდა ილია ჭავჭავაძის მიერ შეტანილ წვლილს საქართველოში , კინოს დანერგვისა და განვითარების პროცესებში.